ბრძანება:**ბ28.28220609**
თარიღი:**01/03/2022**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023- 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზესაქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ’’ ე’’ე ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. დამტკიცდეს:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად

ბ) 2022 - 2023 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად.

მუხლი 2. დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ბატონ ავთანდილ ურიადმყოფელს) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

ე) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომაობასთან დაკავშირებით;

ვ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7-8 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3. საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად

უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

მუხლი 4. ბრძანება დაეგზავნოს ჯგუფის წევრებს,მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებს და არასამეწარმეო (არაკომერციულ)იურიდიულ პირებს.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ,დაინტერესებული მხარის მიერ მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში,ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში(ქ. ზესტაფონი,წერეთლის ქ.N 7) კანონით დადგენილ ვადებში.

დანართი: 26 ფურცელი.

ლაშა გოგიაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი